პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №--

2022 წლის ----- ოქტომბერი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონებების გასხვისების შესახებ , თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 27 ოქტომბრის 48-4822300102 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ვინაიდან წერილში მითითებულმა ქონებებმა დაკარგა თავისი ფუნქციური დანიშნულება და უძრავ ქონებებში განთავსებული ფართები წლებია ფუნქციურად არ არის დატვირთული, მოხდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონებების გასხვისება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 121-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო თანახმაა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონებების გასხვისების შესახებ (დანართი თან ერთვის).

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3.განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი — მ. ბერაძე

შეთანხმებულია

აპარატის უფროსი — გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე — რ. დიდავა

№	რაიონი	თემი	სოფელი	ამბულატორია/ მედ. პუნქტი	მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის
1	წყალტუბო	მაღლაკი	მაღლაკი, მიწაწითელა	მაღლაკი	29.10.37.366.01.500
2	წყალტუბო	ოფშკვითი	ოფშკვითი	ოფშკვითი	29.16.32.402.01.500
3	წყალტუბო	პატრიკეთი	პატრიკეთი, ტყაჩირი	პატრიკეთი	29.17.31.463.01.500
4	წყალტუბო	ქვიტირი	ქვიტირი, ზედა მესხეთი	ქვიტირი	29.12.33.342.01.500
5	წყალტუბო	ცხუნკური	ცხუნკური, ყუმისთავი, ჩუნეში	ცხუნკური	29.04.38.054.01.500
6	წყალტუბო	წყალტუბო	წყალტუბო, ქვილიშორი, ჩუნეში	წყალტუბო	29.05.37.233.01.500